ის, რაც აუცილებლად უნდა იცოდეთ UG სტუდენტებმა

THE UNIVERSITY OF GEORGIA

THE.UNIVERSITY.OF.GEORGIA

THE.UNIVERSITY.OF.GEORGIA

UNIVERSITY.OF.GEORGIA

THE UNIVERSITY OF GEORGIA (TBILISI)



სასწავლო პროგრამა

სასწავლო პროგრამა შედგება საგნებისაგან, რომლებიც ერთიანდებიან სავალდებულო და არჩევით ბლოკებში. მათი წარმატებით დახურვის შემდეგ მოგენიჭებათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

სწავლის წარმატებით დასასრულებლად აუცილებელია გაიაროთ არა მარტო ყველა სავალდებულო საგანი, არამედ გარკვეული რაოდენობის ასარჩევი საგნებიც.

პროგრამაში შემავალ საგნებს გააჩნიათ პრერეკვიზიტები.

ყველა საგანს მინიჭებული აქვს კრედიტი.

რა არის პრერეკვიზიტი ?

რაიმე B საგნის პრერეკვიზიტი, ანუ წინაპირობა არის A საგანი ან საგანთა ჯგუფი, რომელთა გავლაც აუცილებელია B საგანზე დასარეგისტრირებელად (მაგ: მათემატიკა II-ზე დასარეგისტრირებელად საჭიროა, რომ გავლილი გქონდეთ მათემატიკა I).

რა არის კრედიტი?

საგნებს შეიძლება განსხვავებული კრედიტები ჰქონდეს. თქვენს პროგრამაში შეიძლება შეგხვდეთ საგნები 3, 6, 9, 12 და ა.შ. კრედიტით. მაგალითად: ჩანაწერები „მსოფლიო ისტორია 6 ECTS", „ინგლისური ენა 3 ECTS" ნიშნავს, რომ საგანს „მსოფლიო ისტორია" მინიჭებული აქვს 6 კრედიტი, ხოლო „ინგლისურ ენას" – 3, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოცემული კურსები სხვადასხვა სირთულით ისწავლება და რომ „მსოფლიო ისტორიის" შესწავლა სტუდენტისგან საშუალოდ 2-ჯერ მეტ დროს მოითხოვს ინგლისურ ენასთან შედარებით.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტი საშუალოდ 30 ECTS-ს გადის, ანუ დაახლოებით 5-6 საგანს. მთელი საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS-ს მოიცავს.

არჩევითი და სავალდებულო საგნები

ყველა პროგრამა შედგება **სავალდებულო** და **არჩევითი** ბლოკებისგან. **სავალდებულო ბლოკი** მოიცავს სავალდებულო საგნებს და ყოველი მათგანის გავლაა აუცილებელი სასურველი პროფესიის დასაუფლებლად. **არჩევით ბლოკში** შემავალი საგნებიდან თქვენ ირჩევთ საგნებს თქვენი ინტერესების მიხედვით. ის, თუ რა რაოდენობის არჩევითი საგნები უნდა გაიაროთ, მითითებულია პროგრამაში.

მაგალითად, აქ ნაჩვენებია ერთ-ერთი პროგრამის არჩევითი **STEM ბლოკი**. ის ოთხი არჩევითი საგნიდან შედგება, სადაც თითოეულს 6 კრედიტი აქვს მინიჭებული. შესაბამისად, ბლოკის მთლიანი კრედიტების ჯამი 24 კრედიტს შეადგენს, თუმცა ქვევით არსებული მინაწერი „**კრედიტების ჯამი: 6**“ მიანიშნებს, რომ არსებული 24 კრედიტიდან სტუდენტს მხოლოდ 6 კრედიტის, ანუ ერთი საგნის არჩევა მოუწევს.

STEM ბლოკი

კოდი	საგანი	კრედიტი
STEM0012	ადამიანის ბიოლოგია და ჯანმრთელობა	6
STEM0013	კიბერ ჰიგიენის საფუძვლები	6
STEM0002	გამომგონებლობის ტექნოლოგიები	6
STEM0003	მსოფლიოს უდიდესი აღმოჩენები	6
	კრედიტების ჯამი:	6

ზოგიერთი პროგრამა ასევე ითვალისწინებს „თავისუფალი კრედიტების“ გარკვეულ ოდენობას, რაც გაძლევთ საშუალებას, ამ ოდენობით, თქვენი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოთ უნივერსიტეტში მიმდინარე ნებისმიერი საგანი, რომელიც უნივერსიტეტში იკითხება.

ძირითადი (Major) და არჩევითი პროფესიები (Minor)

ზოგიერთი პროგრამა საშუალებას გაძლევთ, ძირითად პროფესიასთან ერთად მეორადი პროფესიაც (Minor) აირჩიოთ. მაგ: თქვენი ძირითადი პროფესია შეიძლება იყოს ისტორია, ხოლო მეორადი პროფესია - ეკონომიკა.

ძირითადი პროფესიის დასაუფლებლად საჭიროა სტუდენტმა მოაგროვოს პროგრამის არანაკლებ 180 ECTS-ისა. ხოლო დანარჩენი 60 ECTS-ის მოგროვება შესაძლებელია არჩევითი პროფესიით.

აკადემიური რეგისტრაცია

სასწავლო სემესტრის დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაიაროთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გულისხმობს საგნების არჩევას. ეს პროცესი ელექტრონულად ხორციელდება My UG კლატფორმის საშუალებით.

რეგისტრაცია მიმდინარეობს ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე სტუდენტი ირჩევს მხოლოდ საგნებს, ხოლო მეორე ეტაპზე აზუსტებს მისთვის სასურველ დღეებს, საათებსა და ლექტორებს. ერთი და იგივე საგანი შეიძლება იკითხებოდეს სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ლექტორის მიერ. რეგისტრაციის მეორე ეტაპზე სტუდენტმა უნდა შეარჩიოს მისთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

რეგისტრაციის მეორე ეტაპზე გადასასვლელად სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი პირველი ეტაპი.

რეგისტრაციის პირველ ეტაპზე არჩეული საგნების შეცვლა რეგისტრაციის მეორე ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ არჩეული საგნის/საგნების ჯგუფები არ შედგა რაიმე მიზეზის გამო ან თუ თქვენ მიერ არჩეული საგნები დროში ემთხვევა ერთმანეთს.

რეგისტრაცია წინასწარ დადგენილ ვადებში მიმდინარეობს. არ დაგაგვიანდეთ, თორემ თქვენთვის სასურველი დროები შეიძლება დაკავებული აღმოჩნდეს!

თითოეულ სემესტრზე უნდა დაარეგისტრიროთ არანაკლებ 30 ECTS (რაც საშუალოდ 5 საგანს გულისხმობს); წლიურად (ორივე სემესტრში ერთად) დარეგისტრირებული ECTS-ების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 72-ს.

აუცილებელია აკადემიური რეგისტრაცია გაიაროთ დადგენილ ვადებში, თუ მომდევნო სემესტრში სწავლის გაგრძელებას აპირებთ, რადგან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა გამოიწვევს სტუდენტური სტატუსის შეჩერებას.

სწავლის საფასურის გადახდა

სწავლის წლიურ საფასურს ათ ნაწილად იხდით და სექტემბერ-ივნისის განმავლობაში ყოველთვიურად უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშს მიიღებთ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე) შეგაქვთ წლიური საფასურის მეათედი (მაგალითად, თუ თქვენი სწავლის საფასური 2250 ლარია, ყოველი თვის 15 რიცხვში იხდით 225 ლარს). მომდევნო სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდა იწყება 15 ივლისიდან და გრძელდება მომდევნო ათი თვის განმავლობაში.

სასწავლო წელი და დასვენების დღეები

სასწავლო, ანუ აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისგან. სწავლის დაწყება-დასრულების თარიღები, ისევე, როგორც ფინალური გამოცდების, არდადეგებისა და სხვა თარიღები შეგიძლიათ ნახოთ აკადემიურ კალენდარში, რომელიც ქვეყნდება www.ug.edu.ge-ზე.

უნივერსიტეტის დასვენების დღეები:

- მარიამობა - 28 აგვისტო
- გიორგობა - 23 ნოემბერი
- დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი
- ქრისტეშობა და საახალწლო არდადეგები - 24 დეკემბრიდან - 7 იანვრის ჩათვლით
- საადგომო არდადეგები - აღდგომის წინა კვირის ოთხშაბათიდან შემდეგი კვირის სამშაბათის ჩათვლით
- ზაფხულის არდადეგები - აკადემიურ წლის დასრულებიდან, მომდევნოს დაწყებამდე

გამოცდები და შეფასების ფორმები

უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა, რაც ნაწილდება შუალედურ შეფასებებსა და დასკვნით (ფინალურ) გამოცდაზე. შუალედური შეფასებაა ყველა ის შეფასება, რომელიც იწერება სემესტრის განმავლობაში დასკვნით გამოცდამდე. ეს შეიძლება იყოს ყოველკვირეული გამოკითხვა, ანუ ქვიზი, პრეზენტაცია და შუალედური გამოცდა.

დასკვნითი (ფინალური) გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის შეიძლება იყოს კომპიუტერული, წერითი ან პრაქტიკული.

დასკვნით გამოცდაზე არაუმეტეს 40 ქულის დაგროვების საშუალება გეძლევათ, თუმცა საგანი ჩაბარებულად მხოლოდ მაშინ გეთვლებათ, თუ ქულათა საერთო ჯამი არანაკლებ 51-ია; სტიპენდიის მისაღებად კი 90 ქულაზე მეტის აღებაც დაგჭირდებათ. ამიტომ მნიშვნელოვანია, არ გამოტოვოთ შუალედური შეფასებები და უნივერსიტეტში ყოველთვის მომზადებული მობრძანდეთ. ანუ სასურველია სასწავლო მასალა სემესტრის განმავლობაში ეტაპობრივად და თანმიმდევრულად აითვისოთ და არა დასკვნითი გამოცდის წინ ერთბაშად!

დასკვნითი გამოცდა

დასკვნითი გამოცდა ყველა საგანში ტარდება და ის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდაა, სადაც მთელი სემესტრის განმავლობაში განვლილი მასალის გამოკითხვა ხდება.

დასკვნითი გამოცდა 40-ქულიანია და მისი წარმატებით ჩაბარებისთვის აუცილებელია მიიღოთ არანაკლებ 20 ქულა (50%).

სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე გადის იმ შემთხვევაში, თუ მას შუალედური შეფასებებით უკვე მოგროვებული აქვს არანაკლებ 11 ქულისა.

დასკვნითი გამოცდები იწერება საგამოცდო აუდიტორიებში exam.ug.edu.ge-ის საშუალებით.

დასკვნითი გამოცდების შესახებ სტუდენტი დეტალურ ინფორმაციას გამოცდამდე 1 კვირით ადრე იღებს My.UG-ის საშუალებით, სადაც მას გამოცდების ცხრილში გამოუჩნდება საათი, თარიღი, ადგილი და აუდიტორია; ასევე, ის მიიღებს ინფორმაციას დამხმარე მასალის შეტანის თაობაზეც, რომელიც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება.

დასკვნით გამოცდებზე სპეციალური ქცევის წესები მოქმედებს და მათი დაცვა აუცილებელია. საგამოცდო აუდიტორიაში მოქცევის წესებზე ინფორმაციასაც My.UG-ის საშუალებით იღებთ.

აღნიშნულზე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ საბაკალავრო დებულებაშიც მოიძიოთ, თუმცა გახსოვდეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- გამოცდაზე გამოცხადდით 15 წუთით ადრე
- არ ისაუბროთ გამოცდის დროს და არ ეცადოთ სხვის ნაშრომში ჩახედვას
- არ შეიტანოთ არანაირი ელექტრონული მოწყობილობა
- არ გამოიყენოთ აკრძალული ინტერნეტსაშუალებები

თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება გაქვთ, გთხოვთ, ამის შესახებ წინასწარ აცნობოთ სასწავლო ოფისს. ასევე, თუ გამოცდის მსვლელობის დროს რაიმე კითხვა გაგიჩნდათ ან რაიმე სახის დახმარება დაგჭირდათ, გთხოვთ, აიწიოთ ხელი და დაელოდოთ მენეჯერის მოსვლას, რომელიც შეძლებისდაგვარად დაგეხმარებათ პრობლემის მოგვარებაში.

გამოცდების აღდგენა

იმ შემთხვევაში, თუ შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე ვერ/არ გამოცხადდით ან არასაკმარისი ქულა მიიღეთ, არ ინერვიულოთ, ამით ყველაფერი არ მთავრდება! საშუალება გეძლევათ, ხელმეორედ გახვიდეთ გამოცდაზე. ერთი რომელიმე შუალედური შეფასების აღდგენა შეგიძლიათ სწავლის მე-13 კვირას, ხოლო დასკვნითი გამოცდის აღდგენა შემდეგ შემთხვევებში ხდება:

- თუ გამოცდა გააცდინეთ საპატიო მიზეზით (საპატიო მიზეზების შესახებ ინფორმაცია ვრცლად იხილეთ საბაკალავრო დებულებაში)
- თუ შუალედური შეფასებებით მიღებული ქულების ჯამი 41-ია, თუმცა ვერ გადალახეთ დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი, ანუ 50%.
- თუ გამოცდა გააცდინეთ არასაპატიო მიზეზით, მაგრამ გამოცდის აღსადგენად შესაბამისი თანხა გადაიხადეთ.

გამოცდის აღსადგენად აუცილებელია My.UG-ის საშუალებით დაწეროთ განცხადება, ანუ შეავსოთ შესაბამისი შაბლონი.

გამოცდის გასაჩივრება

იმ შემთხვევაში, თუ ლექტორის მიერ დაწერილ შეფასებას არ ეთანხმებით, შეგიძლიათ გაასაჩივროთ შეფასების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

ამისთვის საჭიროა My UG-ის საშუალებით სპეციალურად გამოცდის გასაჩივრებისთვის განკუთვნილ ბლანკზე დაწეროთ განცხადება.

იმისათვის, რომ თქვენი განცხადება არ იქნას უარყოფილი, აუცილებელია მიუთითოთ ის საკითხები, რომელთაც ასაჩივრებთ.

თქვენ საჩივარს სპეციალური კომისია განიხილავს და განცხადების მიღებიდან 7 სამუშაო დღეში პასუხი კვლავ My UG-ზე გამოგიჩნდებათ განცხადების რეზოლუციის ველში.

გახსოვდეთ, რომ შეფასებაში ლექტორთან არდათანხმება ჩვეულებრივი ამბავია. შეფასების გასაჩივრებით ლექტორს არც გააბრაზებთ და არც აწყენინებთ. თქვენი მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირება ბუნებრივი და აუცილებელია.

GPA - რა არის, როგორ ითვლება და რისთვის არის საჭირო

GPA არის სემესტრის/წლის განმავლობაში გავლილ საგნებში მიღებული საბოლოო ქულების საშუალოსთვის მინიჭებული კოეფიციენტი.

შესაბამისად, GPA შეიძლება იყოს სემესტრული ან წლიური.

ე.წ. ქულების საშუალო ასე გამოითვლება:

მაგალითად, თუ წლის ან სემესტრის განმავლობაში, გაივლით ხუთ საგანს: A, B,C, D და E, რომლებშიც მიიღეთ შემდეგი შეფასებები: (A)= 65 ქულა; (B)= 75 ქულა; (C)= 85 ქულა; (D)= 90 ქულა და (E)= 100 ქულა. დავუშვათ, ამ საგნების კრედიტებია: ECTS (A) = 6, ECTS (B) = 3, ECTS (C) = 6, ECTS (D) = 9, ECTS (E) = 6. ამ შემთხვევაში თქვენი „შედეგების საშუალო“ ასე დაითვლება:

შედეგების საშუალო

$$\frac{\text{ECTS (A)} * \text{ქ (A)} + \text{ECTS (B)} * \text{ქ (B)} + \text{ECTS (C)} * \text{ქ (C)} + \text{ECTS (D)} * \text{ქ (D)} + \text{ECTS (E)} * \text{ქ (E)}}{\text{ECTS (A)} + \text{ECTS (B)} + \text{ECTS (C)} + \text{ECTS (D)} + \text{ECTS (E)}}$$

$$\text{შედეგების საშუალო} = \frac{6 * 65 + 3 * 75 + 6 * 85 + 9 * 90 + 6 * 100}{6 + 3 + 6 + 9 + 6}$$

$$\text{შედეგების საშუალო} = \frac{390 + 225 + 510 + 810 + 600}{30} = \frac{2535}{30} = 84.5$$

GPA-ის გასაგებად საჭიროა ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვიპოვოთ 84.5-ის შესაბამისი კოეფიციენტი:

პროცენტული რანგი	საუნივერსიტეტო შეფასება	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)
97-100	A+	4,00
94-96	A	3,75
91-93	A-	3,50
87-90	B+	3,25
84-86	B	3,00
81-83	B-	2,75
77-80	C+	2,50
74-76	C	2,25
71-73	C-	2,00
67-70	D+	1,75
64-66	D	1,50
61-63	D-	1,25
51-60	E	1,00

როგორც ხედავთ, ცხრილის მიხედვით თქვენი შედეგების საშუალო (84.5) ხვდება 84-86 პროცენტულ რანგში, რაც B საუნივერსიტეტო შეფასებასა და 3.00 GPA-ის გულისხმობს.

GPA მნიშვნელოვანია, რადგან მასზეა დამოკიდებული, მიიღებთ თუ არა სტიპენდიას უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში. ასევე, მან შეიძლება მნიშვნელოვნად განაპირობოს მომდევნო ეტაპზე თქვენი სწავლის გაგრძელების (მათ შორის საზღვარგარეთ), სტაჟირებისა და დასაქმების პერსპექტივები.

გარდა ამისა, GPA-სთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, შესაძლოა, თქვენი სტუდენტური სტატუსის შეწყვეტის საფუძველი აღმოჩნდეს, ოღონდ მანამდე „განსაკუთრებულ რეჟიმში“ მოექცევით.

განსაკუთრებული რეჟიმი

სტუდენტი ექცევა „განსაკუთრებულ რეჟიმში“, თუ სწავლების მეორე წლიდან, მისი შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია. ეს გულისხმობს, რომ მომდევნო წელს, მან უნდა გააუმჯობესოს შედეგები.

ამ რეჟიმში მყოფი სტუდენტი უნივერსიტეტის მხრიდან განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სტუდენტს გარკვეულწილად ეზღუდება საგნებისა და ჯგუფების არჩევის თავისუფლება და მისი სწავლის პროცესის ადმინისტრირებაზე, მათ შორის დამატებითი კონსულტაციების დანიშვნის შესახებ კასუხისმგებლობას, ნაწილობრივ უნივერსიტეტი იღებს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოსაცდელ ვადაშიც ვერ შეძლებს შედეგების გაუმჯობესებას, ეს შეიძლება გახდეს მისი სტატუსის შეწყვეტის მიზეზი.

სემესტრული სტიპენდია

უნივერსიტეტში არსებობს სტიპენდია, რომელიც გაიცემა ყოველთვიურად. ამჟამად სტიპენდიის ოდენობაა 150 ლარი, რომელიც სემესტრულად შეიძლება შეიცვალოს.

აკადემიურ წელზე სტიპენდია გაიცემა წინა წლის შედეგების მიხედვით.

იმისათვის, რომ სტუდენტმა მოიპოვის სტიპენდია, მისი წლიური GPA უნდა იყოს არანაკლებ 3,75.

ასე რომ, ისწავლეთ კარგად და გახდით სტიპენდიატი!

სტუდენტური ცხოვრება

საქართველოს უნივერსიტეტში საკმაოდ მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებაა. მას უნივერსიტეტის მხრიდან კოორდინირებას უწევს სტუდენტურ საქმეთა ცენტრი.

უნივერსიტეტში მოქმედებს მრავალი კლუბი, რომლებშიც სტუდენტები საკუთარი ინტერესების კვალობაზე წევრიანდებიან.

კლუბები მიმართულების მიხედვით მართავენ სხვადასხვა გასართობ, კულტურულ-შემეცნებით და ა.შ. ღონისძიებებს.

კლუბები უნივერსიტეტის წინაშე წარადგენენ სხვადასხვა გასართობ, კულტურულ-შემეცნებით პროექტებს და იღებენ დაფინანსებას. ასეთი ღონისძიებები კი, შინაარსის მიხედვით, უამრავი შეიძლება იყოს: ჩემპიონატი, ექსკურსია, ლაშქრობა, გამოფენა, საჯარო ლექცია და ა.შ. მაგალითად, კინოკლუბის აქტივობა შეიძლება იყოს რომელიმე ფილმის ჩვენება და განხილვა, ხოლო ექსტრემალური გართობის კლუბისა - ჯომარდობა მდინარე არაგვზე.

უნივერსიტეტში არსებულ კლუბებზე ინფორმაცია მოიძიეთ **My UG-ზე.**

თქვენი ინტერესების შესაბამისად შეგიძლით გაწევრიანდეთ უკვე არსებულ კლუბებში, ხოლო თუ ასეთი არ აღმოჩნდა, დააფუძნოთ ახალი კლუბი!

ახალი კლუბის დასაფუძნებლად საჭიროა მეგობრებს შორის იპოვოთ (მინიმუმ 5) თანადამფუძნებელი და მიმართოთ სტუდენტურ საქმეთა ცენტრს კლუბის დაფუძნების ინიციატივით.

დამატებით ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სტუდენტურ საქმეთა დებულებაში, რომელიც ხელმისაწვდომია www.ug.edu.ge-ზე. ასევე, შეგიძლიათ My UG-ის საშუალებით მიმართოთ შესაბამის დეპარტამენტს.

სტუდენტობა საუკეთესო წლებია, გახადეთ ის უფრო შინაარსიანი, გაატარეთ ბედნიერი სტუდენტობა!

უნივერსიტეტში არსებობს **კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი,** რომელიც მთელი წლის მანძილზე სხვადასხვა სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებს სთავაზობს სტუდენტებს. თუ თქვენ რომელიმე სპორტით ხართ გატაცებული, მაშინ მუდმივად ადევნეთ თვალი ჩვენ მიერ გამოგზავნილ შეტყობინებებს my ug-ზე. იყავით სპორტული, მისაბაძი, პოპულარული და ასახელეთ თქვენი უნივერსიტეტი!

უნივერსიტეტში მოქმედებს **სტუდენტური თვითმმართველობა,** რომლის მიზანი უნივერსიტეტის მართვის პროცესსა და სასწავლო პროგრამების განვითარებაში სტუდენტების ჩართულობის ორგანიზება, ადმინისტრაციის წინაშე სტუდენტების სურვილებისა და ინიციატივების გაჟღერება, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენაა. თვითმმართველობის მართვის ორგანოები არჩევითია. თქვენ შეგიძლიათ ჩაერთოთ უნივერსიტეტის მართვის პროცესში როგორც თვითმმართველობაში გაწევრიანებით, ისე არჩეულ იქნეთ თქვენი პროგრამის სტუდენტების წარმომადგენლად. იყავით აქტიური სტუდენტი!

დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლაზე დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ზრუნავს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კერძო და საჯარო სექტორთან, იღებს ინფორმაციას დასაქმებისა და სტაჟირების შესახებ ვაკანსიებზე და შესაბამისად, უგზავნის სტუდენტებს. სამსახური აქტიურად ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და ტრენინგებს იმისათვის, რომ სტუდენტებს კიდევ უფრო მეტად განუვითარდეთ დასაქმებისათვის საჭირო უნარები.

ინოვაციების ცენტრი UG STARTUP FACTORY

საქართველოს უნივერსიტეტში შესაძლებლობა გაქვთ დაიწყოთ თქვენი საკუთარი ინოვაციური ბიზნესი და ამისთვის მიიღოთ როგორც საჭირო ხელშეწყობა და კონსულტაციები, ისე დაფინანსება!

გახსოვდეთ, თითოეულ თქვენგანს შეუძლია დიდი ცვლილებების შემქმნელი გახდეს! Microsoft-ის შემქმნელმა ბილ გეითსმა, Apple-ის შემქმნელმა სტივ ჯობსმა, Facebook-ის შემქმნელმა მარკ ცუკენბერგმა უამრავმა სხვა ცნობილმა თუ ნაკლებად ცნობილმა ადამიანმა საკუთარი ინოვაციური სტარტაპები თქვენს ასაკში დაიწყეს. თქვენც ყველა სათანადო სასტარტო პირობები გაქვთ. UG Startup Factory დაგეხმარებათ იდეების შემუშავებაში, შემდგომ ამ იდეების ბიზნესებად ქცევაში, შეფუთვასა და ინვესტორების წინაშე წარსადგენად მომზადებაში. ცენტრში მაღალკვალიფიციური ექსპერტები და წარმატებული სტარტაპერები ატარებენ სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და ვორქშოფებს, რაც სტუდენტებს ეხმარება შექმნან ინოვაციური პროდუქტი და სერვისი, შემდეგომ კი მენტორების დახმარებით შეძლონ მისი დახვეწა და ინვესტორებთან წარდგენა. იმისათვის, რომ პროექტები იყოს წარმატებული და სტუდენტებმა შეძლონ მეტი ინვესტიციის მოძიება, UG Startup Factory აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე - საერთაშორისო ინკუბატორებთან და აქსელერატორებთან.

იყავით ინოვატორები, სიახლეების შემქმნელები და სტარტაპერები, მიაკითხეთ UG Startup Factory-ს!

გაცვლითი პროგრამები

საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან და სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ერთი სემესტრით ან ერთი წლით.

უნივერსიტეტში მოქმედებს ერაზმუს მუნდუსის, ერაზმუს+ და ინდივიდუალური თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამები.



გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეგიძლიათ მეორე კურსიდან. ამისათვის აუცილებელია კარგი აკადემიური მოსწრება და ძირითად შემთხვევაში, ინგლისური ენის **B2** დონეზე ცოდნა.

მეტი ინფორმაციისათვის გაცვლითი პროგრამების შესახებ, გთხოვთ დაუკავშირდეთ **საერთაშორისო სტუდენტების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.**

MY UG-ის ახსნა

როგორც შეამჩნევდით, უნივერსიტეტთან კომუნიკაციისას **MY UG**-ის გამოყენება პრაქტიკულად ყველა ნაბიჯზე გჭირდებათ.

გახსოვდეთ

სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის საკომუნიკაციო საშუალებაა **MY.UG,** სადაც მიიღებთ თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას; ასევე, სწორედ ამ კლატფორმის გამოყენებით გექნებათ საშუალება, რომ ნახოთ თქვენი ცხრილები, გამოცდები, განცხადებები და ა.შ. ყველაფერი ის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პერიოდში.

უნივერსიტეტში შემოსვლისას პირველ სართულზე დაინახავთ Front Desk-ს, სადაც მიიღებთ პასუხს ყველა თქვენს კითხვაზე.

შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი ცხელი ხაზით: **2 55 22 22**

ჩვენს ვებგვერდზე **WWW.UG.EDU.GE** ნახავთ ყველა თქვენთვის საჭირო დოკუმენტს დებულებებისა და წესების სახით; ასევე ჩვენს ვებგვერდზე განთავსებულია **ONLINE CHAT**, სადაც სამუშაო საათებში შეგიძლიათ მიიღოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია.

ჩვენი ოფიციალური სოციალური ქსელებია:

- Facebook
- Instagram
- Youtube
- LinkedIn
- TikTok

UG

ნიშნავს

შესაძლებლობებს

LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA
LIBERTAS HUMANITAS EXCELLENTIA